

მოქალაქის გზამკვლევი

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა
2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

2014, დეკემბერი

შესავალი

საქართველოს მთავრობა ყოველი წლიურად ამზადებს ქვეყნის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს, წლიური ბიუჯეტის კანონს. საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მოკლე სახელმძღვანელო ყველა დაინტერესებულ პირს შეუქმნის ზოგად წარმოდგენას საქართველოს საბიუჯეტო სისტემაზე, 2015 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტულ მიმართულებებსა და ბიუჯეტით დაგეგმილ ღონისძიებებზე. თუ რა მოცულობის შემოსულობებს მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტი წლის განმავლობაში და რა წყაროებიდან, და რა გადასახდელების დახარჯვას გეგმავს სახელმწიფო დასახული მიზნების მისაღწევად 2015 წლის განმავლობაში.

რა არის ბიუჯეტი - ოჯახის ბიუჯეტი

რა არის ბიუჯეტი? ეს არის ცოდნა, იმისა თუ რა წყაროებიდან რამდენ შემოსავალს უნდა ელოდო და როგორ უნდა განკარგო ის. ბიუჯეტის შედგენა სასარგებლოა როგორც ცალკეული პირებისა და ოჯახებისათვის, ისე საქმიანი ადამიანებისა და მთავრობებისათვის

გარკვეულწილად ბიუჯეტს ყველა ადამიანი ადგენს საკუთარი თავისა თუ ოჯახისათვის, თუმცა ამას არ აქვს ყოველთვის ფორმალიზებული სახე და შესაძლოა ეს ხშირად გაუცნობიერებლად და ინსტიქტურადაც კი ხორციელდებოდეს.

თუ ოჯახის ყველა წევრი მონაწილეობს ბიუჯეტის შედგენაში, ამ შემთხვევაში ყველა მათგანი გრძნობს ვალდებულებას, მიჰყვეს შედგენილ გეგმას. ერთად შედგენილი ბიუჯეტი ეხმარება ოჯახის თითოეულ წევრს, უკეთესად განკარგოს ოჯახის შემოსავალი.

მოთხოვნილებები და ხარჯები შემოსავლების პარალელურად იზრდება და როგორც წესი, ყოველთვის აჭარბებს მას. ოჯახის ბიუჯეტის განსაზღვრისას განიხილება მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები როგორცაა კვება, კომუნალური მომსახურება, ტრანსპორტირება, დასვენება, ოჯახის აუცილებელი გადასახადები, როგორცაა მაგალითად ბინის, მანქანის ხარჯები, ასევე ბანკიდან აღებული კრედიტის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები და სხვა. , ოჯახები ხშირად ასევე მსჯელობენ გარკვეული თანხის დაზოგვის შესაძლებლობაზეც მაშინ როდესაც ოჯახს სტაბილური და შედარებით მაღალი შემოსავლები აქვს ან პირიქით განსაკუთრებული საჭიროების დადგომის შემთხვევაში მსჯელობენ დანაზოგის გამოყენების ან სესხის აღების შესაძლებლობაზე. მნიშვნელოვანია შეფასდეს წლის განმავლობაში გასაწევი ხარჯები ოჯახის შემოსავლებთან მიმართებაში, თუ ოჯახის შემოსავალი არასაკმარისი აღმოჩნდა დაგეგმილი ხარჯების დასაფარავად, უნდა განისაზღვროს პრიორიტეტები ხარჯების შესამცირებლად ან განხილულ იქნეს შემოსავლების გაზრდის ალტერნატიული

ვარიანტები მაგალითად: ზედმეტი სამუშაო საათები, ახალ სამსახურში გადასვლა, დამატებითი სამუშაოს მოძებნა, თანხის სესხება მეზობლის/მეგობრისგან ან ბანკისგან. ოჯახის წევრებს შეუძლიათ გაანალიზონ კრედიტის აღების ვარიანტი იმ შემთხვევაშიც თუ სურვილი აქვთ შეიძინონ ახალი სახლი ან ავტომანქანა და გააფართოვონ ოჯახური ბიზნესი, ამასთან პარალელურად საჭიროა განიხილონ და მოიძიონ სესხის დაფარვის წყაროები.

თუ ოჯახის შემოსავალი აჭარბებს ყოველდღიურ ხარჯებს, შესაძლებელია დანაზოგის გაკეთება შორეული გეგმების განსახორციელებლად. ან მეორეს მხრივ, ასეთი თანხები დახიხარჯოს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე; მაგალითად იყიდონ ახალი ავტომობილი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა ან გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები.

ოჯახი რაღაც ფორმით სახელმწიფოს პატარა მოდელია და მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადების პროცესიც ზოგიერთ შემთხვევაში ზემოთ აღწერილი პროცესის ანალოგიურად მიმდინარეობს. მთავრობა და პარლამენტი განსაზღვრავენ მთავრობის მოსალოდნელ შემოსავლებს, შემოსავლის წყაროებს და მოსალოდნელ ხარჯებს პროგრამების მიხედვით. მაგალითად თავდაცვის, საგარეო საქმეთა, სოციალური დაცვის, განათლების, სამართალდამცავი ორგანოების, რეგიონული ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის და სხვა პროგრამების მიხედვით. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელი შემოსავლები ხარჯებზე ნაკლებია, მთავრობა განიხილავს ვალის აღების შესაძლებლობას გარკვეული პირობებით.

სახელმწიფო ბიუჯეტი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი არის საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას მნიშვნელოვანია პროცესის გამჭვირვალობა, რომლის დროსაც მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები აღწევენ ერთგვარ შეთანხმებას სახელმწიფო რესურსების განაწილებაზე სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით. საბიუჯეტო პროცესის დახვეწისა და ფორმულირების გაუმჯობესების ეტაპზე მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესი მოექცეს დადგენილ ფისკალურ ჩარჩოში და მოხდეს რესურსების ეფექტური განაწილება სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით, რათა მიაღწეულ იქნეს დასახული მიზნები.

ბიუჯეტს მრავალმხრივი ფუნქცია გააჩნია:

- ბიუჯეტი წარმოადგენს ცენტრალური მთავრობის მიერ შემუშავებულ გეგმას, თუ როგორ მოიძიოს მთავრობამ სახსრები აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. რა სახის და მოცულობის თანხები უნდა იქნეს ამისათვის მობილიზებული სხვადასხვა სახის გადასახადებიდან და სხვა წყაროებიდან ბიუჯეტი წარმოადგენს გეგმას, თუ როგორ უნდა დახარჯოს მთავრობამ მის მიერ მობილიზებული თანხები. რა ღონისძიებები უნდა იქნეს დაფინანსებული და როგორ უნდა განაწილდეს შემოსავლები სხვადასხვა სფეროებზე. კერძოდ, განათლებაზე, თავდაცვაზე, ჯანმრთელობაზე, სოციალურ დაცვასა და ა.შ. სხვა მიმართულებებზე.
- ბიუჯეტი განსაზღვრავს მთავრობის მიერ ასაღები სახელმწიფო ვალისა და სესხების ლიმიტებს. თუ ხარჯები აჭარბებს შემოსავლებს, მთავრობამ უნდა აიღოს გარკვეული ვალი, რათა დაფაროს მისი მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების ხარჯები და გადაიხადოს გასული წლების ვალები.
- ბიუჯეტი გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. ზოგიერთი ხარჯი, როგორცაა მაგალითად განათლებისა და მეცნიერების, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებელია ზრდის პროდუქტიულობას, რაც მომავალში გამოიწვევს მოსახლეობის შემოსავლის ზრდასაც; მეორეს მხრივ კი გადასახადები ამცირებენ მოსახლეობის შემოსავალს და უტოვებენ მათ ნაკლებ რესურსს. გამომდინარე აქედან, ბიუჯეტი (შემოსულობები და გადასახადელები) უნდა დაბალანსდეს ისე, რომ იგი იქცეს ქვეყნის განვითარების მძლავრ ბერკეტად.
- ბიუჯეტზე თავად ახდენენ გავლენას ეროვნული ეკონომიკური პროცესები. კერძოდ, მაღალი ეკონომიკური ზრდის პირობებში ბიზნესი უფრო აქტიურდება, იზრდება დასაქმების მოცულობა, შესაბამისად იზრდება როგორც მოქალაქეების, ასევე ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავალიც, განსაკუთრებით კი საგადასახადო შემოსავალი. ამ პირობებში მთავრობას საშუალება ეძლევა დააფინანსოს მეტი ღონისძიებები. ამასთან მცირდება ვალის აღების საჭიროება, ასევე შექმნას გარკვეული რეზერვები, რომელსაც გამოიყენებს ისეთ პერიოდში, როდესაც ეკონომიკა ნაკლებად იზრდება.

ზემოაღნიშნული გათვალისწინებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოში არსებობდეს სახელმწიფო ფინანსების მართვის სტრატეგია, სწორი ფისკალური პოლიტიკი და გამართული საბიუჯეტო სისტემა.

აღნიშნულს არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს

საბიუჯეტო სისტემას, საბიუჯეტო პროცესს, მის ძირითად პრინციპებს, მასში მონაწილე მხარეებსა და ძირითად ეტაპებს

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა წარმოადგენს „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების შესასრულებლად ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტებით რეგულირებულ საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობას“.

საბიუჯეტო პროცესი ეს არის საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა ემყარება ძირითად პრინციპებს:


- **ყოვლისმომცველობა** - ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელის და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტში;
- **გამჭვირვალობა** - ბიუჯეტის პროექტის წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა, ბიუჯეტის და მისის შესრულების ანგარიშების გამოქვეყნება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- **ანგარიშვალდებულება** - საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე;
- **დამოუკიდებლობა** - ყველა დონის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა
- **ერთიანობა** - ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა ყველა დონის ბიუჯეტისათვის;
- **უნივერსალობა** - ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად;
- **კონსოლიდირება** - სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემა.

სახელმწიფო ფინანსების მართვა როგორც ერთიანი სისტემა (Public Finance Management)

ბევრი თვლის რომ სახელმწიფო ფინანსების მართვა (PFM) არის მხოლოდ თანხების განაწილების, ხარჯვის და აღრიცხვის პროცესი. რეალობაში საჯარო ფინანსების მართვა შეიძლება განვიხილოთ არა როგორც პროცესი, არამედ როგორც ურთიერთდაკავშირებული პროცესების ერთიანი სისტემა.

ქვემოთ მოყვანილ სქემაში მოცემულია ისეთი სისტემა, რომელიც ნათლად გვაჩვენებს შემდეგი ურთიერთკავშირებიდან გამომდინარე სახელმწიფო ხარჯების მართვის შედეგებს:

სახელმწიფო ფინანსების მართვის ზოგადი სქემა



(1) **პრიორიტეტების და სტრატეგიების განსაზღვრა** - გამართული, სტრატეგიებზე დამყარებული საბიუჯეტო პროცესი, რომელშიც მთავარი უწყებები - მთავრობა და ფინანსთა სამინისტრო მკაცრად განსაზღვრავენ მაკროეკონომიკურ ჩარჩოს, რესურსებს და პოლიტიკას, ხოლო დარგობრივი სამინისტროები ითვალისწინებენ მათთვის განსაზღვრულ მონაცემებს შემდეგი სტრატეგიული დაგეგმარებისას.

(2) **ბიუჯეტის მომზადების** პროცესი უზრუნველყოფს მოცემულ ჩარჩოებში სტრატეგიული გეგმების ასახვას რეალური თანხების განაწილებაზე.

(3) **რესურსების მართვის** პროცესები უზრუნველყოფენ ბიუჯეტით განსაზღვრული ღონისძიებების ეფექტურად შესრულებისათვის საჭირო თანხების, შესაძენი ინვენტარის, კაპიტალისა და კადრების მზადყოფნას.

(4) **შიდა კონტროლი და მონიტორინგი** - არსებობს შიდა მართვის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ პასუხისმგებელი და გადაწყვეტილების მიმღები პირები მუდმივად იყვნენ ინფორმირებულნი ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობისა და არსებული პრობლემის შესახებ.

(5) **აღრიცხვა-ანგარიშგების** სისტემები უზრუნველყოფენ საბიუჯეტო პროცესის სრულ გამჭვირვალობას, ანუ იმ ინფორმაციის არსებობას, რომელიც ცხადათ წარმოადგენს თუ სად, როგორ და როდის იხარჯება სახელმწიფო ფული. ამავდროულად აძლიერებს ამ პროცესში ჩართულ პირთა პასუხისმგებლობას.

(6) **გარე კონტროლი და აუდიტი** - გარე აუდიტი ამოწმებს ხარჯების შესაბამისობას, ფინანსური შეფასების უტყუარობას და ბიუჯეტის შესრულების არსებულ მდგომარეობას. ამით უზრუნველყოფს მომავალში დაგეგმვისა და სტრატეგიების განსაზღვრისადმი მეტი პასუხისმგებლობით მიდგომას.

ეს პროცესები საბოლოოდ იკვრება ერთ მთლიან შეთანხმებულ სისტემად, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების მართვას. ამ სისტემის ეფექტურობა მჭიდროდაა დამოკიდებული ექვსივე პროცესის როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთდროულად ფუნქციონირებაზე (პროცესებს შორის ურთიერთკავშირი სქემაზეა ასახული ისრებით, რომლებიც აჩვენებენ თუ ეს პროცესები საბოლოოდ როგორ იკვრება ერთ მთლიან შეთანხმებულ სისტემად). იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყველას ეს პროცესი ეფექტურად მუშაობს, მაგრამ მათი ფუნქციონირება არ არის ერთმანეთთან შეთანხმებული, აქვთ დროის სხვადასხვა ვადები, განსხვავებული კრიტიკული მომენტები, ან სხვა შეუთანხმებლობა, მაშინ არ არსებობს იმის გარანტია, რომ საჯარო ფინანსების მართვის (PFM) სისტემა ეფექტურ შედეგს გამოიღებს.

ერთ-ერთი საინტერესო რეფორმა, რომელიც კონცენტრირებულია სწორედ პროცესების ურთიერთკავშირის საშუალებით ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაზე, არის ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვა (MTEF).

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD)

წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესი იწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტზე (BDD) მუშაობით.

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD) არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

დოკუმენტის მოიცავს 4 წლიან პერიოდს და ყოველწლიურად განახლებადი დოკუმენტია.

BDD დოკუმენტის მომზადებით იწყება ყოველწლიური ბიუჯეტის მომზადება. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განისაზღვრება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შემუშავების ეტაპები, რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს იგი და რა ვადებში ხდება საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის მისი პირველადი, გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტების წარდგენა.

საქართველოს მთავრობა იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისა და +3 წლისათვის.

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტის (BDD) სტრუქტურა:

BDD დოკუმენტი

1. მთავრობის მიზნები, რისი მიღწევა სურს საშუალოვადიან პერიოდში და რა პირითადი სამოქმედო გეგმები აქვს დასახული აღნიშნული მიზნების მისაღწევად

2. ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური სიტუაციის მოკლე ანალიზი, პირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების ფაქტიური და საპროგნოზო მაჩვენებლები და მათი აღწერა

3. გასული ორი წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგები, შემოსულობების ფაქტიური მაჩვენებლები და ბიუჯეტიდან დაფინანსებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები

4. მიმდინარე საბიუჯეტო წლის და დასაგეგმი წლების ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტის აგრეგირებული მაჩვენებლები და საფინანსო რესურსის პროგნოზების მოკლე აღწერა

5. დასაგეგმი წლებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების რიცხოვნობის და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები

6. მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამების მოკლე აღწერა;

7. მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი თითოეული პროგრამის დაფინანსების მოცულობა საშუალოვადიან პერიოდში.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, სამინისტროები აყალიბებენ მათ პრიორიტეტებს; მთავრობა პრიორიტეტებს და საბიუჯეტო პარამეტრებს უთანხმებს პარლამენტს; პარლამენტის შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინებით სამინისტროები ამტკიცებენ საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ განსახორციელებელ სტრატეგიებს; სამინისტროების პრიორიტეტების საფუძველზე მზადდება BDD დოკუმენტი, სადაც ასევე ასახულია მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების დაფინანსების სავარაუდო მოცულობები და სამინისტროების საბიუჯეტო ჭერები; BDD დოკუმენტის გათვალისწინებით სამინისტროები ავსებენ საბიუჯეტო განაცხადებს; საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს; საქართველოს მთავრობა წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს საქართველოს პარლამენტს, რომელიც განხილვების შემდგომ ამტკიცების წლიური ბიუჯეტის შესახებ კანონს.



სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის სტრუქტურა მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- პირველ ოთხ თავში მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, მათ შორის შემოსულობებისა და გადასახდელების გაშლა, ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციების მიხედვით, დეფიციტის მოცულობა და მისი დაფინანსების წყაროები, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მოცულობა და სხვა;
- მე-5 თავში წარმოდგენილია ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები და მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მიზანი (პროგრამები დაჯგუფებულია პრიორიტეტების მიხედვით);
- მე-6 თავში პროგრამები დაჯგუფებულია მათი განმახორციელებელი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით და წარმოდგენილია თითოეული პროგრამისათვის

გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა. ამავე თავშია განსაზღვრული საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობაც;

- მე-7 თავში წარმოდგენილია ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გათვალისწინებული ტრანსფერების დეტალური ჩაშლა;
- მე-8 თავში მოცემულია ბიუჯეტის კანონის მარეგულირებელი და გარდამავალი დებულებები;

პარლამენტში წარდგენისას **პროგრამული ბიუჯეტის პროექტს**, მეტი გამჭვირვალობის მიზნით თან ახლავს ინფორმაციული დანართები, სადაც უფრო დეტალურადაა წარმოდგენილი პროგრამებთან და კაპიტალურ პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ:

- პროგრამული ბიუჯეტის დანართში მოცემულია თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერა, მათი მოსალოდნელი შედეგი და შედეგების შეფასების ინდიკატორები;
- კაპიტალური ბიუჯეტის დანართში მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტით დაგეგმილი კაპიტალური პროექტების შესახებ (მათ შორის პროექტის მთლიანი ღირებულება, მისი დაფინანსების წყაროები, დასრულების ვადები და სხვა);
- ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების დეტალური ჩაშლა და ინფორმაცია თითოეული პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზების შესახებ, მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას, წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს და დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსულობები და გადასახდელები აღირიცხება **საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეშვეობით**, რაც საშუალებას იძლევა ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები დაჯგუფდეს ეკონომიკური ხასიათის, ფუნქციონალური ღონისძიებების, პროგრამული სტრუქტურის და სხვა მახასიათებლების მიხედვით.

ბიუჯეტის შემოსულობები შედგება:

- შემოსავლები;
- *არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები (პრივატიზაცია);*

- ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები (ნაშთის გამოყენების გარდა);
- ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები (სესხის აღება).
- **ბიუჯეტის გადასახდელები შედგება:** მიმდინარე ხარჯები (შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა, სხვა ხარჯები);
- არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები (კაპიტალური ხარჯები);
- ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები (ნაშთის დაგროვების გარდა);
- ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები (სესხის დაფარვა).

საბიუჯეტო დეფიციტი და პროფიციტი

ქვეყნის ფისკალური სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი პარამეტრია ბიუჯეტის დეფიციტის/პროფიციტის მაჩვენებელი.

ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა არის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, ხოლო ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა – ბიუჯეტის მთლიანი სალდო. დადებითი მთლიანი სალდო არის ბიუჯეტის პროფიციტი, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო – ბიუჯეტის დეფიციტი.

2015 წლის ბიუჯეტის ზოგადი მიმოხილვა

2015 წლისთვის, ისევე როგორც 2013-2014 წლებში, ბიუჯეტი მომზადებულია პროგრამის - „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ შესაბამისად; პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარება.

2013-2014 წლებში ძირითადი აქცენტი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ზრდაზე გაკეთდა და ყველაზე მეტად სწორედ ამ სფეროების დაფინანსება გაიზარდა.


- ჯანდაცვის სამინისტროს 2015 წლის დაფინანსება 2012 წლისას აღემატება 990,0 მლნ ლარით;
- სოციალური პროგრამების ზრდით შესაძლებელი გახდა ყველა კატეგორიის პენსიონერთა პენსიების ზრდა, სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის დახმარებების გაორმაგება, დევენილთა და ლტოლვილთა შემწეობების და სხვა სოციალური პროგრამების ზრდა;

- 2013 წლიდან დაიწყო და 2014 წელს კიდევ უფრო გაფართოვდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სამედიცინო მომსახურების მიღება შესაძლებელია საქართველოს ყველა მოქალაქისათვის;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ზრდის პარალელურად 2013-2014 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა განათლების, სოფლის მეურნეობის და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება;
- 2015-2016 წლებში კვლავ მაღალი იქნება ყველა ზემოთხსენებული სფეროს დაფინანსება და გაგრძელდება სოციალური გასაცემლების ზრდა, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარება, რასაც ემსახურება 2015 წლის ბიუჯეტი.

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები

2015 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის პროგნოზი 5.0%-ს, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 4,0%-ს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 5,5%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 3,5%-4,0%-ის ფარგლებში.


მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე 2015 წლის ნომინალური მშპ-ს მოცულობა 31,9 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო 2018 წლისთვის პროგნოზირებულია მისი გაზრდა 41,9 მლრდ ლარამდე.



დასახელება	2013 ფაქტი	2014 პროგნოზი	2015 პროგნოზი
მშპ-ს რეალური ზრდა	3.2%	5.0%	5.0%
ნომინალური მშპ	26,824.9	29,176.4	31,860.6
საშუალო წლიური ინფლაცია	-0.5%	3.5%	4.0%

ინფლაცია წლის ბოლოსთვის	2.4%	3.5%	4.0%
სახელმწიფო ვალი %-ულად მშპ-სთან	34.7%	36.4%	37.2%
საბიუჯეტო დეფიციტი	704.9	1,147.0	970.0
საბიუჯეტო დეფიციტი %-ულად მშპ-სთან	2.6%	3.9%	3.0%

საბიუჯეტო დეფიციტი 2009-2015 წლებში



2015 წლის საბიუჯეტო მიმოხილვა


2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად გადასახდელების მთლიანი მოცულობა დაგეგმილია 9,575.0 მლნ. ლარის ოდენობით, რაც 495.0 მლნ ლარით მეტია 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 30.1%-ს შეადგენს. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს მთლიანად წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 9,875.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2014 წლის მაჩვენებელს 770.0 მლნ ლარით აღემატება, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 31%-ს შეადგენს, 2014 წელთან შედარებით შემოსულობების ზრდა ძირითადად უკავშირდება საგადასახადო შემოსულობების ზრდას, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 77%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 23.9%-ს შეადგენს.

დასახელება	2015 წელი პ (მლნ ლარი)	%-ულად მთლიან ჯამთან
საბიუჯეტო სახსრები	8,650.0	87.6%
გადასახადები	7,600.0	77.0%
სხვა შემოსავლები	275.0	2.8%
არაფინანსური აქტივების კლება (პრივატიზაცია)	85.0	0.9%
ფინანსური აქტივების კლება (სესხების დაბრუნება)	90.0	0.9%
საშინაო ვალის ზრდა (სახაზინო ვალდებულებები)	600.0*	6.1%
დონორების დაფინანსება	1,225.0	12.4%
გრანტები	215.0	2.2%
მ.შ. საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი გრანტები	115.0	1.2%
მ.შ. საბიუჯეტო დახმარება	100.0	1.0%
კრედიტები	1,010.0	10.2%
მ.შ. საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი კრედიტები	690.0	7.0%
მ.შ. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო დახმარება	320.0	3.2%
ჯამი	9,875.0	

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა



სახაზინო ვალდებულების გამოშვებით მისაღები 600.0 მლნ ლარიდან, 200.0 მლნ ლარი გათვალისწინებულია ეკონომიკის სტიმულირების ღონისძიებებისათვის და ამ სახით მიღებული შემოსულობები განთავსდება კომერციულ ბანკებში სადეპოზიტო ანგარიშებზე

1.1 სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 82%-ს წარმოადგენს შემოსავლები, რომელიც შეადგენს 8,090.0 ლარს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 25,4%-ია.


სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა	მლნ ლარი
				გადახრა (2015-2014)
სულ შემოსავლები	6 839,5	7 319,0	8 090,0	771,0
გადასახადები	6 287,7	6 820,0	7 600,0	780,0
გრანტები	238,9	144,0	215,0	71,0
სხვა შემოსავლები	312,9	355,0	275,0	-80,0

გადასახადები

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 7,600.0 მლნ ლარს, რაც 2014 წლის გეგმიურ მაჩვენებელს 780.0 მლნ ლარით აღემატება. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტის სულ შემოსულობების 77%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 23.8%-ს შესადგენს.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა



გრანტები

ბიუჯეტის მიხედვით 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 2014 წლის გეგმასთან შედარებით 71.0 მლნ ლარით მეტია და 215.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 2.2%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 0.7%.

სხვა შემოსავლები

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 80.0 მლნ ლარით ნაკლებია 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით და შეადგენს 275.0 მლნ ლარს.

არაფინანსური აქტივების კლება

2015 წელს არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები სახსრების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 85.0 მლნ ლარს, რაც 5.0 მლნ ლარით მეტია 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

ფინანსური აქტივების კლება

ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 90,0 მლნ ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს წინა წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების დაბრუნებას;

ვალდებულების ზრდა

სახელმწიფოს მიერ სესხების აღებით 2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 1 610.0 მლნ ლარი, რაც მთლიანი საბიუჯეტო რესურსის 16.8%, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 5.1%-ია. აღნიშნული თანხა საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად მიღებული გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტები შეადგენს 690.0 მლნ ლარს, მსოფლიო ბანკის და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საბიუჯეტო კრედიტები - 320 მლნ ლარს, სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების ემისიით და მათი დაფარვის შედეგად საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების წმინდა ზრდა - 600,0 მლნ ლარს.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება


დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა	მლნ ლარი გადახრა (2015-2014)
1.სულ შემოსულობები	8,104.2	9,105.0	9,875.0	770.0
1.1 შემოსავლები	6,839.5	7,319.0	8,090.0	771.0
გადასახადები	6,287.7	6,820.0	7,600.0	780.0
საშემოსავლო გადასახადი	1,795.1	1,770.0	2,085.0	315.0
მოგების გადასახადი	806.5	912.0	900.0	-12.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	2,847.9	3,274.0	3,529.0	255.0
აქციზი	722.2	739.0	947.0	208.0
იმპორტის გადასახადი	89.4	100.0	114.0	14.0
სხვა გადასახადები	26.6	25.0	25.0	0.0
გრანტები	238.9	144.0	215.0	71.0
სხვა შემოსავლები	312.9	355.0	275.0	-80.0
1.2 არაფინანსური აქტივების კლება	77.5	80.0	85.0	5.0
1.3 ფინანსური აქტივების კლება	449.3	70.0	90.0	20.0
ვალუტა და დეპოზიტები	409.4	0.0	0.0	0.0
სესხები	39.9	70.0	90.0	20.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0
1.4 ვალდებულებების ზრდა	737.9	1,636.0	1,610.0	-26.0
საშინაო ვალდებულებები	149.5	600.0	600.0	0.0
საგარეო ვალდებულებები	588.4	1,036.0	1,010.0	-26.0
2. სულ გადასახდელები	8,104.2	9,080.0	9,575.0	495.0
2.1 ხარჯები	6,545.6	7,539.6	8,005.4	465.8
შრომის ანაზღაურება	1,187.6	1,318.3	1,407.9	89.6

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა	გადახრა (2015-2014)
საქონელი და მომსახურება	765.8	853.8	963.7	109.9
პროცენტი	233.0	305.0	364.1	59.1
სუბსიდიები	242.6	241.4	247.9	6.5
გრანტები	1,083.3	1,111.8	1,172.7	60.9
სოციალური უზრუნველყოფა	2,083.0	2,581.4	2,687.7	106.3
სხვა ხარჯები	950.3	1,127.9	1,161.4	33.5
2.2 არაფინანსური აქტივების ზრდა	767.6	734.1	853.2	119.1
2.3 ფინანსური აქტივების ზრდა	277.1	208.2	297.1	88.9
2.4 ვალდებულებების კლება	513.9	598.1	419.2	-178.9
3. ნაშთის ცვლილება	0.0	25.0	300.0	275.0

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით გადასახდელები დაგეგმილია 9 575.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2014 წლის გეგმიურ მაჩვენებელზე 495.0 მლნ ლარით მეტია.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა



2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტული ღონისძიებები

ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

დასახელება	მლნ ლარი			
	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	1,793.9	2,126.5	2,658.0	2,785.0
მ.შ. სოციალური პროგრამები	1,398.6	1,638.5	1,970.5	2,041.0
მ.შ. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები	332.8	435.5	605.8	656.2

განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

დასახელება	მლნ ლარი			
	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	627.3	679.9	754.3	853.9
მ.შ. სკოლების ვაუჩერული დაფინანსება	325.5	410.1	380.0	430.0
მ.შ. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაცია და აღჭურვა	71.6	42.9	68.7	70.6
მ.შ. მოსწავლეების წიგნებით უზრუნველყოფა	19.1	19.1	9.0	15.8
მ.შ. მეცნიერების ხელშეწყობა	18.5	27.1	49.7	60.5

რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

დასახელება	მლნ ლარი			
	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	663.1	823.6	875.0	1,000.0
მ.შ. საგზაო ინფრასტრუქტურა	375.0	523.0	501.7	645.2
მ.შ. მუნიციპალური ინფრასტრუქტურა და მყარი ნარჩენები	161.0	152.1	187.1	225.7
მ.შ. წყლის ინფრასტრუქტურა	72.9	71.5	131.0	119.2

სოფლის მეურნეობა

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	228.4	227.4	174.9	292.9
მ.შ. სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია	13.9	61.5	71.7	68.1
მ.შ. შეღავათიანი აგროკრედიტები	0.0	6.6	63.8	30.0
მ.შ. მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები	0.0	0.0	50.0	50.0

მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსება 2013-2015 წლებში



კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	58.4	59.5	60.5	60.5
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	15.6	9.0	9.8	9.8
03 00	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	1.7	2.0	2.0	2.0
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	11.1	20.0	32.5	32.5
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	10.1	12.3	12.9	12.9
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	52.0	54.5	22.5	22.5
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	2.6	3.3	3.4	3.4
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	5.2	6.6	6.6	6.6
09 00	საერთო სასამართლოები	37.3	47.4	50.0	50.0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	1.5	2.5	2.7	2.7
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში	1.2	0.9	0.9	0.9
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	0.6	0.7	0.7	0.7
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში	0.8	0.8	0.8	0.8
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	0.8	0.8	0.8	0.8
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	0.6	0.7	0.7	0.7
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	0.7	0.7	0.7	0.7
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის	0.6	0.7	0.7	0.7

კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები
	მუნიციპალიტეტებში				
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავეში	0.8	0.8	1.0	1.0
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	0.7	0.7	0.7	0.7
20 00	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	4.2	2.8	3.1	3.1
21 00	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1.3	0.9	1.2	1.2
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1.3	1.4	1.4	1.4
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	95.9	96.0	100.0	100.0
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	123.5	120.5	120.0	120.0
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	823.6	875.0	1,000.0	400.0
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	75.0	60.5	68.5	68.5
27 00	საქართველოს სასჯელაღსრულების, პროზაგისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	157.7	154.0	155.0	155.0
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	76.4	90.0	100.0	100.0
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	610.4	623.0	640.0	640.0
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	585.5	600.0	638.7	638.7
31 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	5.0	8.0	14.0	14.0
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	675.9	754.3	853.9	812.0
33 00	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	77.7	80.0	95.0	95.0
34 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	47.3	48.0	70.0	70.0
35 00	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2,126.5	2,658.0	2,785.0	2,785.0
36 00	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო	156.4	114.6	125.0	45.0
37 00	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	227.4	263.5	292.9	260.3
38 00	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	20.6	31.0	39.0	36.4
39 00	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	66.1	53.9	70.0	70.0
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	52.0	46.0	53.0	53.0
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	3.0	2.4	4.0	4.0
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	33.7	38.0	40.8	40.8
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო *	0.7	0.7	1.9	1.9
44 00	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3.8	3.5	3.5	3.5
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25.0	25.0	25.0	25.0
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	3.5	3.5	3.5	3.5
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული	6.4	14.6	8.9	8.9

კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები
	სამსახური – საქსტატი				
48 00	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	0.6	1.3	1.3	1.3
49 00	სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	1.2	2.4	2.5	2.5
50 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	0.6	0.6	1.2	1.2
51 00	პერსონალური ინფორმაციის დაცვის ინსპექტორის აპარატი	0.2	0.6	1.5	1.5
52 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1.3	0.5	0.5	0.5
53 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	2.8	3.0	4.5	4.5
54 00	სსიპ - ვეტერინების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	0.0	3.5	7.5	7.5
55 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	0.0	0.0	4.2	4.2
56 00	საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	0.0	0.0	2.2	2.2
57 00	ა(ა)იპ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია	0.6	0.0	0.0	0.0
58 00	ა(ა)იპ - სოლიდარობის ფონდი	0.0	0.0	0.3	0.3
59 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	1,808.8	2,075.4	2,026.5	1,993.6
	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები	8,104.2	9,080	9,575.0	8,785.0

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება

სხვა დანარჩენი პროგრამები და უწყებები:



სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები არ უკავშირდება რომელიმე მხარჯავი დაწესებულების ფუნქციების განხორციელებას. 2015 წლისათვის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების 21.1%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 6.4%-ს შეადგენს და მოიცავს:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვა;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვა;
- საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი;
- საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი;
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი;
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი;
- ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები.

მლნ ლარი

კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
58 00	საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	1,808.8	2,075.4	2,026.5
	მათ შორის:			
58 01	საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	564.7	720.0	560.0
	მ.შ. პროცენტი (ვალის მომსახურება)	134.3	191.0	205.0
	მ.შ. ვალდებულებების კლება (ვალის ძირითადი ნაწილის დაფარვა)	430.4	529.0	355.0
58 02	საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	133.6	149.0	194.0
	მ.შ. პროცენტი (ვალის მომსახურება)	98.6	114.0	159.0
	მ.შ. ვალდებულებების კლება (ვალის ძირითადი ნაწილის დაფარვა)	35.0	35.0	35.0
58 03	საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები	7.4	5.6	7.7
58 04	ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	1,068.5	795.9	854.8
58 05	საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	0.0	5.0	5.0

58 06	საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	0.0	50.0	50.0
58 07	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	7.9	20.0	20.0
58 08	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	0.0	250.0	250.0
	<i>მ.შ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა</i>	0.0	50.0	50.0
58 09	საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფა	1.2	0.8	0.5

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის გადასაცემი ტრანსფერი შეადგენს 845 800 ათას ლარს, ხოლო ტერიტორიული ერთეულებისთვის გადასაცემი ტრანსფერი შეადგენს 9 000.0 ათას ლარს.

ათას ლარებში

ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	სპეციალური ტრანსფერი
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	9,000.0			9,000.0
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	412,682.2	412,282.2	400.0	
აჭარის მუნიციპალიტეტი	1,019.4	1,004.4	15.0	
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	52,542.3	52,542.3		
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	7,198.7	7,198.7		
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	9,226.9	9,226.9		
ქედის მუნიციპალიტეტი	3,661.0	3,661.0		
შუახევის მუნიციპალიტეტი	4,232.7	4,232.7		
ხულოს მუნიციპალიტეტი	6,323.5	6,323.5		
ახმეტის მუნიციპალიტეტი	5,223.9	5,093.9	130.0	
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	7,145.4	6,985.4	160.0	
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	1,925.5	1,740.5	185.0	
ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი	7,223.7	7,061.7	162.0	

ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	სპეციალური ტრანსფერი
თელავის მუნიციპალიტეტი	4,118.8	3,994.8	124.0	
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	5,786.1	5,576.1	210.0	
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	3,812.0	3,602.0	210.0	
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	3,158.0	3,013.0	145.0	
ყვარლის მუნიციპალიტეტი	3,873.3	3,738.3	135.0	
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	32,118.0	31,898.0	220.0	
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	7,549.8	7,317.8	232.0	
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	3,007.5	2,867.5	140.0	
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	6,543.8	6,387.8	156.0	
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	3,811.2	3,683.2	128.0	
ვანის მუნიციპალიტეტი	5,727.2	5,577.2	150.0	
ზეესტაფონის მუნიციპალიტეტი	6,789.5	6,549.5	240.0	
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	6,686.2	6,534.2	152.0	
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	6,385.1	6,196.1	189.0	
საჩხერის მუნიციპალიტეტი	6,644.4	6,454.4	190.0	
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	4,444.1	4,306.1	138.0	
ხონის მუნიციპალიტეტი	5,648.3	5,490.3	158.0	
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	4,376.8	4,116.8	260.0	
ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	11,824.9	11,729.9	95.0	
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	11,685.5	11,455.5	230.0	
აბაშის მუნიციპალიტეტი	5,134.7	4,987.7	147.0	
მარტვილის მუნიციპალიტეტი	5,485.5	5,322.5	163.0	
მესტიის მუნიციპალიტეტი	3,222.3	3,097.3	125.0	
სენაკის მუნიციპალიტეტი	5,097.8	4,902.8	195.0	
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	4,426.2	4,264.2	162.0	

ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	სპეციალური ტრანსფერი
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	4,646.7	4,468.7	178.0	
ხობის მუნიციპალიტეტი	1,771.8	1,551.8	220.0	
ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი	10,156.7	9,946.7	210.0	
გორის მუნიციპალიტეტი	9,650.1	9,544.1	106.0	
ქურთის მუნიციპალიტეტი	1,995.1	1,915.1	80.0	
ერედვის მუნიციპალიტეტი	1,777.0	1,742.0	35.0	
კასპის მუნიციპალიტეტი	4,585.0	4,408.0	177.0	
ქარელის მუნიციპალიტეტი	6,390.0	6,177.0	213.0	
თიღვის მუნიციპალიტეტი	1,295.9	1,285.9	10.0	
ხაშურის მუნიციპალიტეტი	6,475.7	6,246.7	229.0	
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	16,633.8	16,133.8	500.0	
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	305.0	0.0	305.0	
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	4,001.4	3,741.4	260.0	
დმანისის მუნიციპალიტეტი	1,770.3	1,655.3	115.0	
თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი	4,225.0	4,008.0	217.0	
მარნეულის მუნიციპალიტეტი	9,164.5	8,914.5	250.0	
წალკის მუნიციპალიტეტი	2,093.2	1,984.2	109.0	
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	6,101.1	5,881.1	220.0	
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	6,338.1	6,252.1	86.0	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	5,445.5	5,271.5	174.0	
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	3,313.4	3,130.4	183.0	
ადიგენის მუნიციპალიტეტი	3,097.9	2,960.9	137.0	
ასპინძის მუნიციპალიტეტი	2,242.4	2,116.4	126.0	
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	6,547.7	6,332.7	215.0	
ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტი	5,470.2	5,303.2	167.0	

ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	სპეციალური ტრანსფერი
ახალციხის მუნიციპალიტეტი	3,132.6	3,033.6	99.0	
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	190.0	0.0	190.0	
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	3,348.4	3,183.4	165.0	
ახალგორის მუნიციპალიტეტი	2,034.0	1,944.0	90.0	
დუშეთის მუნიციპალიტეტი	3,755.0	3,645.0	110.0	
თიანეთის მუნიციპალიტეტი	3,037.5	2,901.5	136.0	
ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტი	1,779.2	1,737.2	42.0	
მცხეთის მუნიციპალიტეტი	280.0	0.0	280.0	
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	803.1	718.1	85.0	
ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	3,660.3	3,579.3	81.0	
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	2,688.0	2,633.0	55.0	
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	2,743.6	2,638.6	105.0	
ონის მუნიციპალიტეტი	2,852.8	2,749.8	103.0	
ცაგერის მუნიციპალიტეტი	4,239.8	4,081.8	158.0	
სულ საქართველო	854,800.0	834,233.0	11,567.0	9,000.0

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა აღირიცხება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით და შემდეგნაირად გამოიყურება:

კოდი	დასახელება	ათასი ლარი		
		2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
	მთლიანი ხარჯები	7,313.2	8,273.7	8,858.7
	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,727.2	1,897.1	2,030.3
	თავდაცვა	630.3	633.7	650.4
	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	860.0	890.1	949.7
	ეკონომიკური საქმიანობა	910.7	1,000.1	1,138.7
	გარემოს დაცვა	25.8	36.3	46.0
	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	37.8	98.3	82.5
	ჯანმრთელობის დაცვა	481.3	673.6	727.5
	დასვენება, კულტურა და რელიგია	144.6	158.3	199.8
	განათლება	682.5	768.9	852.6
	სოციალური დაცვა	1,812.9	2,117.4	2,181.2